

## მაყვალა დაკითაძე

თავისუფლებისა და სამშობლოსათვის მებრძოლი გმირის  
სახეაპ. გამორჩეულის შემოქმედებაში  
(„ამზათი“)

### მოკლე შინაარსი

ქართულ ლიტერატურაში შამილის, მთის ამაყი შვილის სახე წარმოჩნდა როგორც ერთგვარი პარადიგმა დაუმორჩილებლობისა. ამ დამოკიდებულებითაა შექმნილი აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, ანა კალანდაძის და სხვა მწერალთა ნაწარმოებები.

მათ გვერდითაა აკ. გამწერელიას ისტორიული მოთხოვნები: „იმამის ერთი დღე“, „ჩირ-იურთი“, „იმამი ლოუაში“, „ბოსკოს შეგირდი“, „ამზათი“, რომანი-მაგიანე „შამილი“.

აკ. გამწერელია ნაწარმოებში „ამზათი“ დახატულია შამილის მიერ წარმოებული უთანასწორო და თავგანწირული ბრძოლის ერთი ფურცელი. მაღალმხატვრული ოსტატობით გადმოცემულია შამილისა და სამშობლოს ერთგული ნაიბის თავგანწირული ბრძოლის ტრაგიკული ისტორია. ავტორის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის სახის ჩვენება, მეორე მხრივ, თანამედროვეთათვის თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდება, რაც თხზულების შექმნის დროისათვის მეტად აქტუალური იყო.

ნაშრომში გადმოცემულია აკ. გამწერელიას მოთხოვნების „ამზათის“ პრობლემატიკა და მხატვრული ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** აკ. გამწერელია, მოთხოვნები, ნოველები, ამზათი, თავისუფლებისათვის ბრძოლა

**THE FACE OF A HERO FIGHTING FOR FREEDOM IN AKAKI  
GATSERELIA'S CREATION**  
("Amzati")

***Abstract***

In Georgian literature, the face of the proud son of Shamili, the proud son of a mountain, has emerged as a paradigm of disobedience, work of Akaki Tsereteli, Ilia Chavchavadze, Alexander Kazbegi, Grigol Robakidze, Titsian Tabidze, Anna Kalandadze and other writers works are created with this attitude.

Next to them are the historical stories of A.Gatserelia: "One Day of the Imam", "Chir-Yurt", "Imam in the Lodge", "Bosco's apprentice", "Amzati", romance-chronicle "Shamili"

Akaki Gatserelia's "Amzati" is a sheet of unequal and self-sacrificing battle produced by Shamil.

The tragic story of the self-sacrificing battle of Shamili and the faithful to the homeland Naibi is narrated with high artistic craftsmanship.

The aim of the author is to show the face of the hero struggling for freedom on the one hand, and on the other hand to urge contemporaries to fight for freedom.

The work presents problems and artistic analysis of Akaki Gatserelia's story "Amzati".

**Key Words:** Akaki Gatserelia, stories and novels, Amzati, struggle for freedom.

**შესავალი.** მხატვრულ დიგერატურაში არაერთი მწერლის შთაგონების წყაროდ იქცა კავკასიის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის შამილის წინამდოღოლობით.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, შამილი, კავკასიელ მუსლიმთა პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი, 1834 წელს იმამად აღიარეს. შამილმა შეძლო ის, რომ დადესტანი და ჩეჩენთი, მოგვიანებით კი ჩერქეზეთიც გააერთიანა, ჩამოაყალიბა იმამატი და 25 წლის განმავლობაში შეუდრევებლად იბრძოლა თვითმპურობელური რუსეთის წინააღმდეგ, დაღვარა ბევრი ადამიანის სისხლი. ამ ბრძოლაში შამილი იყო შეუგალი; როგორც გარეშე, ასევე ბევრ შინა მოწინააღმდეგებელი

უმკაცრესად გაუსწორდა, ამაფინა ნაიბმა უამრავ განსაცდელს გაუძლო, შემოიღო შარიათის ქანონი, სამშობლოსათვის საკუთარ შეილსაც კი არ ზოგავდა, რუსებს მძევლად მისცა, ხოლო გამოსახესნელად სასტიკი გზა მოძებნა. კავკასიის თავისუფლებისათვის უთანასწორო ომში ჩაბმული, შეუპოვარი და უდრევები ნებისყოფის გმირი, სამწუხაროდ, განწირული აღმოჩნდა დასამარცხებლად.

**მიზანი.** თავისუფლების იდეა მეცხრამეტე საუკუნის მთავარი ორიენტირი და ღირებულებია. არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არის დახატული შამილი, როგორც კავკასიის ხალხთა თავისუფლებისათვის დაუცხრომელი და თავდადებული მებრძოლი ადამიანი. ქართულ ლიტერატურაში შამილის სახე წარმოჩნდა, როგორც ერთგვარი პარადიგმა დაუმორჩილებლობისა. ასეა დახატული მთის არწივის – შამილის სახე აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, გრიგოლ რობაქიძის, ტიციან გაბიძის, ანა კალანდაძის, აკ. გაწერელისა შემოქმედებაში.

დღემდე აკაკი გაწარელიას მოთხოვნები და ხოველები, რომლებიც შექება კავკასიელი ხალხის ბრძოლას რუსთა წინააღმდეგ, ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით არ არის ხავლევი. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია მწერლის ნაწარმოები „ამზაონ“, რომლის მიზანი თავისუფლებისმოყვარე ადამიანის სახის ჩვენებაა.

**მსჯელობა.** შეოცე საუკუნის მეცნიერებაში თვალსაჩინო აღგილი უჭირავს აკაკი გაწერელიას. ის იყო ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი, რომელიც აღჭურვილი იყო უდიდესი ცოდნითა და მეცნიერული კვლევისათვის საჭირო ყველა თვისებით. ნარკვევები, ესეები, პოლემიკური სტატიები, იმპრესიონისტულ-ბიოგრაფიული ეტიუდები და მხატვრული ნაწარმოებები წარმოადგენს ამ ბრწყინვალე მეცნიერის მონაგარსა და დანატოვარს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის როგორც ანტიკური და ქართული ლიტერატურის, ისე ლექსმცოდნეობითა და ქართული ლექსის ბუნებისა და მეტრის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი.

აკ. გაწერელიას ლიტერატურული საქმიანობის დასაწყისად უპირობოდ მიჩნეულია 1927 წელი. თავად ლიტერატორი კი თვლიდა, რომ მან ლიტერატურული საზოგადოების კარი 1926 წელს შეაღო, როცა 16 ჭაბუკი, ნიჭიერებით გამორჩეული, მწე-

რალთა პირველი ყრილობის დელეგატის რანგში ნიკო ნიკოლაძისა და ვასილ ბარნოვის გვერდით იდგა

მის მხატვრულ შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ისტორიულ მოთხოვებს: „სიკვდილი ბარათაშვილისა“, „იმამის ერთი დღე“, „ამზათი“, „ჩირ-იურთი“, „იმამი ლოჭაში“, „ბოსქოს შეგირდი“, „ორეული“, რომანი-მატიანე „შამილი“, ის მუშაობდა ისტორიულ რომანზე, სურდა შეექმნა „დიადი ეპოვეა“ შამილის შესახებ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ მისი ეს სურვილი აუსრულებელი დარჩა.

ა. გაწერედიას შემოქმედებიდან ყურადღებას იპყრობს ნაწარმოები „ამზათი – ანუ სევილის დილა მთაში“.

მასში გადმოცემულია შამილის მიერ რუსთა წინააღმდეგ წარმოებული ოცდახუთწლიანი ბრძოლის ერთი ეპიზოდი, რომლის მთავარი გმირია ჩანტის ნაიბი, ჰაზავათისათვის თავ-დაღებული რაინდი, ამზათი.

ამზათს ავტორი ასე ახასიათებს: თავისუფლებისმოყვარე, შეუდრუებელი და დირსეული ადამიანი, „ჰაზავათის ერთული, თხემით ტერფამდე ფანატიკოსი, შარიათსა და ტარიკატში (რელიგიურ დოგმებში) განსწავლებული, არაბულის ჩინებულად მცოდნე“. ამზათი ზეობრივი გმირია: მას არასოდეს უფიქრია ჰარემზე; მის მთავარ ორიენტირს სჯულისათვის თადადება, სამშობლოსა და ცოლ-შვილის ერთგულება შეადგენდა. მისი ნაიბობის დროს გული ბოლმით ევსებოდა ალდამის ოჯახს. ათასგარ ხრიკებსა და ონებს მიმართავდნენ მის წინააღმდეგ. მათ არც ელამი და კოჭლი დუგა ჩამორჩებოდა. ნაიბი ამზათი, დირსეული ვაჟაცი, სანიმუშოდ უკლიდა ხალხს, ყოველმხრივ ააყვავა ჩანტის თემი, და არა მარტო თემი, არამედ მეზობელი ქისტებიცა და სხვა ტომებიც მადლიერი ჰყავდა.

ზედმეტი პირდაპირობა, ზეობრივი უწიკვლოება – ეს თვისებები მიაჩნდათ მექრთამებებსა და ჯაშუშებს ამზათის ნაკლად.

თავლინელმა ნაიბმა ააყვავა აული ითუმ-ყალაც და სწორედ ამიტომ მურიდები ფხიზლად ადეგნებდნენ თვალს თითოეული ჩანტელის ნაბიჯს. ამზათმა იცოდა, რომ მოშურჩე მტრები ჰყავდა, მაგრამ თავისი ნაკეთები კეთილი საქმეების გამო სჯერდა, რომ მადლიერთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო.

მის დირსეულ ადამიანობაზე მიუთითებს მისივე თვისებაც: თუ ვინმეს დალატს შეამჩნევდა, დიდხანს უცდიდა, სანამ მის

გამცემლობაში დარწმუნდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ უსწორდებოდა მოღალატეს.

ასეთი რწმენისა და ლირსების პიროვნების წინააღმდეგ დგას კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატინსკი, გენერალი ევდოკიმოვი და სამშობლოს გამყიდველი ჯაშუში დუგა. ბარიატინის ერთი მოარული ფრაზა ეკერა პირზე: „ფარ ნიენტე“ (სამური უსაქმურობა). გულგრილი მეფისნაცვლისათვის ომი ფლეგმიდან გამოფხიზდების უებარი საშუალებაა. ის დაცლილია იმ დიდი გრძნობისაგან, რაც მოჭარბებულად აქვს ამზათს. ამიტომ კატეგორიულად შეუძლებელია, ის მიხვდეს ამზათის თავგანწირული ბრძოლის ჟინს.

მეფისნაცვლის სახის გვერდით მხატვრული ოსტატობითაა დახატული გენერალ ევდოკიმოვის სახე. მთიელები მას „უჩვეულზე“, ანუ სამთვალას ეძახდნენ ოდესალაც მთიელებისაგან მიყენებული ჭრილობის გამო. „ევდოკიმოვის თავში ათასი მელის ცბიერება დაეტეოდა, „მეორე ადამიანის გულწრფელობას სულელი თუ დაიჯერებსო“, - ფიქრობდა და ეს იყო მისი ცხოვრების ფილოსოფიის ქვაგუთხედი. ევდოკიმოვისათვის კავკასიაში ბრძოლა წარმოადგენდა სახელსა და ბრწყინვალე კარიერას და როგორც ავტორი უწოდებს, „მიაგავდა ქადალდის მოთამაშეს, რომელსაც აზარტის დემონი უკარნახებდა – ყველაფერი მოგო ან ყველაფერი წაეგო“.

ამ ორი ადამიანის სახის ჩვენებით ავტორს სურს დაგვანახოს დამპყრობელი რუსის სახე, იმ ხალხის სახე, რომელიც თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარულ კავკასიელებს გაწყვეტას უქადანებს.

აუდ გარანდასთან გამართული ბრძოლა დასასრულის დასაწყისად იქცა. ნაიბი ბათოკა შეუპოვარ ბრძოლაში დაიჭრა. ექსპრესიულობითა და მაღალმხატვრულადაა გადმოცემული ამ ომის სურათები. ხოლო ომის შემდეგ, ცხადია, კიდევ უფრო მძაფრი და ულმობელი იქნება მთიელთა წინააღმდეგ მტრის შემოსევა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარიატინსკი და ევდოკიმოვი მთიელთა მტრები არიან, ისეთი უარყოფითი დამოკიდებულება მაინც არ უნდება მკითხველს მათ მიმართ, როგორიც ჩანტის თემის წევრის, სამშობლოსა და ლირსების გამყიდველი დუგას მიმართ. მუქ ვერებშია დახატული ავტორის მიერ მისი უარყოფითი სახე: „ელამი და კოჭლი“, „დგოთის გლახა“, „ბუნების მიერ შეურაცხყოფილი“, - ასე იხსენიებს ავტორი მას.

ევფოკიმოვის ჯაშუში საკუთარ ხალხს დაუპირისპირდა და იმამის ერთგული ნაიბის, ამზათის მოკვლასაც კი შეპირდა. ევდოკიმოვმაც და ბარიატინსკიმაც კარგად იციან, რომ ამზათის მოსპობითა და მოკვლით, შამილის სიძლიერეს შეასუსტებენ და ბოლოს გაანადგურებენ კიდეც. არაფერია იმაზე უღირსი საქციელი, ვიდრე ევდოკიმოვის განზრახვა, მოესპონანტის ნაიბი მისივე თემის მეოხებით. მაცდური და ვერაგი მტერი კი, არანაირ დირსებას არ ფლობს საიმისოდ, რომ დირსეულს უღირსი ხერხით არ ებრძოლოს.

ავტორი მტრის ჩანაფიქრსა და ჯაშუში დუგას გადაწყვეტილებასა და მოლაპარაკებას აფასებს ერთი ფრაზით: „აირეკლა ტრაგიკული ხასიათი კავკასიური ილიადისა.“ თუ არა დალაგეს, სხვას რას შეეძლო ციხე შიგნიდან გაეტეხა, რა ძალა დაამარცხებდა მთიელთა თავგანწირვას? ავტორის მიერ ამზათის უნაკლო მხატვრული სახის ჩვენების შემდგომ უფრო სამწუხაროა და ტრაგიზმით სავსე დიდი დალატით მომხდარი ამბავი, რაც შინაგამყიდველმა, თავისი ხალხს მტერმა, დუგამ მტრის სასარგებლოდ ჩაიდინა.

თავისუფლება ძვირი დირს, მისი ფასი უდიდესია, იცის ამზათმა. ამიტომაც გალიაში მომწყვდეული ცხოველივითაა, ფიცხელი და დაუნდობელია მისი ბოლო ჰაზავათი, ის მარტო, სრულიად მარტო დღილობს გამკლავებას მტერთან და ექებს გამოსავალს: „ამზათის თვალის გუგები ისე არეულიყვნენ ხის გაშლილ ყვავილებში, როგორც ლელიანში განაბული ფოცხვერის თვალები“. მისი თვალები იმასსოვრებენ მოდალატეთა სახეებს, მისადმი „დგარდლმოსილებს“, გული სიბრაზითა და ბრძოსადმი ზიხლის გრძნობით ევსება, გრძნობს, რომ მოახლოებულია უდიდესი გასაჭირის უამი. ხვდება, რომ დამარცხდება, მაღალმხატვრულადა დახატული მისი განცდა: „ამზათის თვალებს ჯერ სიფიორე გადაეკრა, შემდეგ პვლავ ცისფრად აკიაფდნენ, შემდეგ ისევ სიფიორემ იმდლავრა და ნაიბის თვალები ამბობდნენ, რომ ეს უგანასკნელი გაბრძოლება იყო, უკანასნელი ჰაზავათი მისი“.

ბრძოლა წაგებულია, ამზათი დაამარცა მტერმა მის თჯახუში გამოზრდილი მოღალატის ხელით. სინაწყლი იყორობს მის გულს, რადგან იცის, რომ სამშობლოს გამცემ ქაჯებს ზურგს უმაგრებენ რუსის ზარბაზნები. ამზათმა ისიც იცის, რომ მოღალატე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამ მძიმე წუთებშიც არ დალაგობს ვაჟაცის პრინციპს და მთაში მიღებული წესის მი-

ხედვით, უდირსს ტყვია არა გულში, არამედ ზურგში უნდა დაახალოს. ჯიქივით დაბატული, შინაგანი ბედისწერით აყვანილი ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ნახტომისათვის მთის ლალი ბუნების შვილი და მშვენება. მან ჯაშუშ დუგას მეხუთე ვაჟი, მოკლა. ზუსტად ნასროლი ტყვიით ზურგი შეუნგრია.

მოღალატე დასაჯა, მაგრამ მისი სული ტყვეობას ვერ შეეგუება, სწორედ ამიტომ დიდი სულიერი მდელვარების შემდეგ, მიიღო გადაწვეტილება: ცოლ-შვილთან და ერთგულ მმის-შვილთან ერთად სულის სიმტკიცით, რწმენითა და ოლაპისადმი ერთგულებით, დაამარცხოს მტერი. თუ ფიზიკურად დამარცხდა, მორალურად უთუოდ უნდა გაიმარჯვოს.

მას ურჩევნია, ერთგულ ცხენთან და ოჯახთან ერთად მოკვდეს, მაგრამ არ დანებდეს. თითქოს ცხოველიც გრძნობს პატრონის განწყობას. ცხენიც კი, რომელსაც არ უყვარდა ხრამიდან გადახედვა, თითქოს ესმის პატრონის სულის მოძრაობა: „კისერი წაიგრძელა, მგელივით ჩაქინდრა თავი და ნაიბის ჯალაბი სახლის უბან, უფსკრულისაგენ გააქანა.“

იუთუმ-ყალას უფსკრულში დასრულდა ამზათისა და მისი ოჯახის სიცოცხლე. საინტერესო ნაწარმოებში ამზათის მმის შვილის – შამას სახეც. ის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ პატარაა, იბრძვის დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ და დამარცხების შემდეგ, ერთი წუთითაც არ გაუგლია გუნებაში უკან დახევა და ბიძასთან დარჩა „ცხოვრების უკანასკნელ გადასარბენზე“.

აკ. გაწერელია ნაწარმოებში ორჯერ იმეორებს შეგონებას: „გინც შედეგზე ფიქრობს, იგი მხდალია“. ამზათს თავი გადადებული აქვს თავისუფლებისა და დირსებისათვის, სამშობლოსათვის და მისოთვის სიკვდილიც არ არის დასასრული. ის არც ფიქრობს შედეგზე. ალაპის მაღლს ზიარებულმა ვაჟკაცმა იცის, რომ პირნათელი წარსდგება უზენაესის წინაშე მარადიულ სამყოფელში.

უდიდესი ტრაგედიაა, როცა ბრბოდქცეული ადამიანები თავისი ხელით კლავენ თავისესავე შველელსა და გადამრჩენს.

მთის ლალი ბუნების შვილი და მისი მშვენება, საჩაჩნოსა და დაღესტნის მტრებთან შეურიგებელი მებრძოლი შურმა და ღალატმა იმსხვერპლა. არ იგუეს თავლინელი ნაიბი სამშობლოს მტრებმა, ვერ აიტანეს მისი ნიჭი, ჭერა და ბრწყინვალება, - გულდაწვეტილი წერს ავტორი.

ჰამზათის ტრაგედია ერთი ადამიანის ხვედრი როდია, ამ ტრაგედიაში იკითხება ზოგადად ყველა თავგანწირული, სამშობლოს ერთგული გმირის სევდიანი და ტკიფილიანი ამბავი.

ნაწარმოებს ერთგვარად აჯამებს ავტორის მინაწერი ეპილოგის მაგიერ, რომელშიც აკაკი გაწერებია ტკიფილნარევი გრძნობითა და პატივით იხსენიებს ამზათს, როგორც თავად უწოდებს, თავლინებს მას, ხოლო მის ბედს მისივე ქვეყნის ბედის თანაზიარად აღიქვამს: „შენი ხვედრი შენი ლამაზი ქვეყნის საერთო ბედის ნაწილია“, – მიმართავს მას. ავტორის მიზანი ნათელია: ამ სტრიქონებით უკვდაფყოს გმირის სახელი. რადგან ჩრდილოეთ კავკასიის აულში მომხდარი ტრაგედია ზოგადად კავკასიელი ხალხის სატკიფარია, ჩეჩენების მსგავსად, არც ქართველებს დასდგომიათ კარგი დღე რუსის ხიშტის წინააღმდეგ ბრძოლაში. კავკასიელთა მმიმე ხვედრი მოძალადე მეზობლების ავი ზრახვების წყალობით ერთი საერთო გასაჭიროა.

ამ მინაწერშივე აგტორი სვამს მარად აქტუალურ საჭირობო-როტო საკითხს. მისი აზრით, სვებედნიერი ის კი არ არის, ვინც პაზავათს ეწევა, არამედ ნაძირალათა ბრძო, რომელიც ყველა დროსა და ყველა ვითარებაში მზად არიან მოსპონ დირექტორი. ბრძო „ხანჯლებს მაშინ იშიშვლებს, როცა მას ქვეყნის მტრის ძალა უმაგრებს ზურგს და ეს ბრძო მუდამ მზად არის ყველა თავმოყვარის, ნიჭიერისა და პაზავათისათვის თავდადებულის დასაღუპავად“. ეს მტკიცნეული საკითხი არა მარტო ჩრდილო კავკასიელი, არამედ ქართველი ხალხის მარადიული სატკიფარიცა.

ნაწარმოები დაწერილია უადრესად ლაკონიური, მაღალ-მხატვრული ენით, შემცულია მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით. რაც ნაწარმოებს სასიამოგნო წასაკითხს ხდის.

აკ. გაწერებიას ამ ნაწარმოების წერა 1940 წელს დაუწყია, ხოლო მეორე თარიღად მითითებულია 1970 წელი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მას, როგორც შემოქმედს, არასოდეს გადაუხდია ხარკი და თავისი შემოქმედებითი ნაფიქრალი არა-სოდეს გაუმრუდებია.

**დასკვნა.** შამილის სახის ლიტერატურაში შემოტანით მწერალმა მოახერხა საბჭოთა ეპოქაშიც შეეხსენებინა თანადროული საზოგადებისათვის იმ დაუდალავი ბრძოლის შესახებ, რომელსაც კავკასია და საქართველო ეწეოდა რუსეთის წინააღმდეგ დაუდალავად და უკომპრომისოდ. ცხადია, მწერლისაგან

ეს ნაბიჯი, გარკვეულ რისკთანაც იყო დაკაგშირებული და ის ამ ნაბიჯზე სრული შეგნებითა და სამშობლოს თავისუფლების სიყვარულით მიღიოდა, რაც მის მიმართ, როგორც ხელოვნისა და ადამიანის მიმართ, კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განგვაწყობს.

#### **ლიტერატურა:**

1. გაწერელია, 1985 – გაწერელია აკ. ნოველები და მოთხოვები. თბილისი, 1985;
2. გაწერელია აკაკი. შამილი 1962 // რჩეული ნაწერები: [ტ.] 1: წერილები და ნარკვევები, ლიტერატურული ძიებანი, პორტრეტები. ა. გაწერელია. - თბილისი, 1962;
3. ხუნდაძე სიმონ. აკაკი გაწერელია, 1934 // მნათობი. - თბილისი, 1934. - 10. გვ. 184-185.